ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5064914

ნომერი: AR1767546

თარიღი : 12.08.2020

გაცემის თარიღი : 13.08.2020

გაცნობის თარიღი : 14.08.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , პეტრე იბერის ქუჩა N24;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ირემაშვილი პ/ნ 13001005803
- თბილისი დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 12 ბ. 103

ორგანიზაცია:

- შპს ვაზისუბანი კოდი: 405404432

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ , რომ ვინაიდან საპროექტო ობიექტი ახლად აშენებული ჩამოყალიბებული იერსახის შენობაა, რომლის რეკონსტრუქცია, ცვლილება, მოითხოვს უფრო მეტად ფრთხილ დამოკიდებულებას, სმსახურის უფლებამოსილების გათვალისწინებით ,ფასადის მოპირკეთებული ნაწილში არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული მსგავსი მოცულობის სარეკლამო აბრის განთავსება, შესაძლებელია აბრის ნაცვლად მოეწყოს მოცულობითი ასოები ან თქვენს მიერ მოფიქრებული იქნას სხვა ალტეერნატიული ვერსია;

ასევე გაცნიობებთ არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტო მასალაზე საჭიროა მოინიშნოს საპროექტო ფართის ფასადის არეალი და წარმოდგენილი იქნას განახლებული ფოტომონტაჟი მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით შესრულებული .
ცნობისათვის :სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით).

ვინაიდან, იჯარი ვადა აჭარბებს 1 წელს, "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე11 მუხლის შესაბამისად, საჭიროა მისი საჯარო რეეტრში დარეგისტრირება და განახლებული ამონაწერის წარმოდგენა. ასევე, საჭიროა წარმოდგენილი იქნა ფართის მესაკუთრის წერილზე თანდართული ფოტომონტაჟი. გაითვალიწინეთ, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ამ ფოტმონტაჟს, ასევე, უნდა დგინდებოდეს რომ სწორედ წერილი დანართია წარმოდგენილი.

დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში. თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.